როცა კერძო ინტერესი საჯაროზე უპირატესია - ნეპოტიზმი საჯარო სამსახურში

ადამიანთა, ერთი შეხედვით, ბუნებრივი მისწრაფება - იზრუნონ მათთვის ძვირფას ადამიანებზე, შესაძლოა, ისეთ მანკიერ ფორმაში გამოვლინდეს, როგორიც ნეპოტიზმია. სწორედ ამ მანკიერი პრაქტიკას ვაწყდებით საქართველოს საჯარო დაწესებულებათა უმრავლესობაში, სადაც, არც თუ ისე იშვიათად, საჯარო მოხელეები იყენებენ თავიანთ სამსახურეობრივ მდგომარეობას საკუთარი ოჯახის წევრებისა თუ ნათესავების დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მიზნით.

ნეპოტიზმი შესაძლოა განიმარტოს, როგორც საჯარო ან კერძო სექტორში თანამდებობის პირის მიერ ოჯახის წევრის, ნათესავის ან მეგობრის სამსახურში დაუმსახურებლად აყვანა ან დაწინაურება. [1] ნეპოტიზმი, როგორც კორუფციის ერთ-ერთი გამოვლინება, რეალურ საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უსაფრთხოების სტაბილურობას, მასში სამართლიანობისა და თანასწორობის

სტანდარტების არარსებობის გამო.

ევროპის საბჭოს სისხლის სამართლის კონვენციაში კორუფციის შესახებ განმარტებულია, რომ ,,კორუფცია წარმოადგენს საფრთხეს სამართლის უზენაესობისთვის, დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის, საფუძველს უთხრის კარგ მმართველობას, სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, ხელს უშლის კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს."[2]

საჯარო სამსახურში დასაქმება და კარიერული წინსვლა განისაზღვრება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით, რომლის მიზანია Ḍ□□□□□□□□□□□ კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, საქართველოს ერთიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა. □[3] □გასათვალისწინებელია მთავრობის დადგენილებაც საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ. □[4]□ გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი ეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რაც თეორიულად კრძალავს კონკურენციის წესების მიზანმიმართული დარღვევით პირის საჯარო სამსახურში დასაქმებას, თუმცა პრაქტიკაში, მუხლი ამგვარად არ განიმარტება, სწორედ ამიტომაც არასამთავრობო სექტორი აქტიურად ცდილობდა ნეპოტიზმის კრიმინალიზაციას, რაც ჯერჯერობით არ განხორციელებულა.[5]

სანამ ნეპოტიზმის სავალალო შედეგებსა და მასთან ბრძოლის პრაქტიკას მიმოვიხილავდე, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ნეპოტიზმი საჯარო და კერძო სექტორებში. საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის პრობლემურობის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ საჯარო სექტორში დასაქმებული პირები ანაზღაურებას უშუალოდ მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადებიდან იღებენ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეული საჯარო მოხელე აანალიზებდეს თავის წილ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას, არ დააყენოს საკუთარი და ახლო პირთა ინტერესები საერთო ინტერესებზე მაღლა.

კერძო და საჯარო სექტორის გამიჯვნის კუთხით, საყურადღებოა ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა ნეპოტიზმთან დაკავშრებით, კერძოდ, ფედერალური კანონი კრძალავს ნეპოტიზმს ფედერალურ მთავრობაში. თუმცა, ნეპოტიზმი უკანონოდ არ მიიჩნევა კერძო ბიზნესის შემთხვევაში, როდესაც ოჯახის წევრებს დაიქირავებენ და აწინაურებენ.

ქვეყანაში, სადაც ნეპოტიზმი და კორუფცია ერთ-ერთი პრემიერ-მინისტრის მიერ[6] შეფასებულია, როგორც □□□□□□□□ ჯიგრული პონტი □□□□□□□□

სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ეხება ნეპოტიზმს და ინტერესთა კონფლიქტს საჯარო სამსახურში. ეს სახელმძღვანელო დოკუმენტები მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სამართლიანობა და გამჭვირვალობა სამთავრობო დასაქმების პრაქტიკაში.[15]

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განსხვავებული რეგულაციებისა, ნეპოტიზმის თავიდან აცილება მხოლოდ სამართლებრივი რეგულირებით შეუძლებელია და ასევე მოითხოვს სოციალური დამოკიდებულებებისა და მმართველობის კულტურის ამაღლებას. მიუხედავად საკითხის კოპლექსურობისა, ვფიქრობ, შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე სახის რეკომენდაცია ნეპოტიზმის შემთხვევების რიცხვის კლების მიზნით, კერძოდ:

- თითოეული ვაკანსიაში დეტალურად მიეთითოს აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს კანდიდატის მოთხოვნილი სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას;

- საჯარო მოხელეებს, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ პირებსა და საკონკურსო კომისიის წევრებს, ჩაუტარდეთ ტრენინგები ნეპოტიზმისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და მის უარყოფითი შედეგების თაობაზე, როგორც ორგანიზაციული ეფექტურობის, ისე საზოგადოების ნდობის ჭრილში;

- საჯარო დაწესებულებამ უზრუნველყოს კანდიდატის შერჩევისა და კარიერული განვითარების პროცესების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, რაც გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას კონკურსების პროცესისა და შედეგების თაობაზე;

ავტორი : გვანცა კილასონია

ბლოგი მომზადებულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში.

---

1 The Cambridge dictionary definition of nepotism იხ. https://shorturl.at/jmopL წვდომის თარიღი : 29.09.2023

2 კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია , იხ: https://rm.coe.int/16802ec982 წვდომის თარიღი 29.09.2023

3 საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.იხ: https://shorturl.at/HJ578 წვდომის თარიღი 29.09.2023

4 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 200 საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ, იხ: https://shorturl.at/hrX35 წვდომის თარიღი : 29.09.2023

5 Suzanne Mulcahy, PhD, Transparency International , □□ regulating nepotism : approaches and best practices □□ , 2015, გვ.4 იხ: https://shorturl.at/tzGQS წვდომის თარიღი 30.09.2023

6 გიორგი გახარია (პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დრო 8 სექტემბერი, 2019 – 18 თებერვალი, 2021)

7 გიორგი გახარიას გამოსვლა იხ: https://www.facebook.com/PrimeTimeMagazine/videos/237869817668064/

8 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, Ḍ□□□□□□□ საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, □ 2019, იხ: https://rb.gy/6y10s წვდომის თარიღი: 30.09.2023

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II,

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1

11 Gary Angel , □□ Nepotism in the Workplace: What It Is, Why It's Bad, and How to Handle It’’ 2023, იხ: https://shorturl.at/lrvI1 წვდომის თარიღი : 01.10.2023

12 Suzanne Mulcahy, PhD, Transparency International , □□ regulating nepotism : approaches and best practices □□ , 2015, გვ.3 იხ: https://shorturl.at/tzGQS წვდომის თარიღი 01.10.2023

13 5 U.S. Code § 3110 - Employment of relatives; restrictions იხ. https://rb.gy/6y10s წვდომის თარიღი: 01.10.2023

14 Gary Angel , □□ Nepotism in the Workplace: What It Is, Why It's Bad, and How to Handle It’’ 2023, იხ: https://shorturl.at/lrvI1 წვდომის თარიღი : 01.10.2023

15 APS Values and Code of Conduct in practice Section 5: Conflict of Interest იხ: https://tinyurl.com/45sa8ens წვდომის თარიღი : 01.10.2023